დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის 16 დეკემბრის
#1028 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 21 აგვისტოს
№ 01-05-04/235დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

არქეოლოგია
Archaeology

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი გივი ინანიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

არქეოლოგიის მაგისტრი (Master of Archaeology) *მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილიწესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილიაECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება

წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს . სასწავლო კომპონენტი - 80 კრედიტი, კვლევითი - 40. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მაგისტრანტს, რომელმაც სემესტრის განმავლობაში მიმდინარე აქტივობისა და შუასემესტრული გამოცდის ქულათა საერთო ჯამით დააგროვა მინიმუმ 30ქულა (15 მიმდინარე აქტივობის მინიმალური ქულა, 15 შუასემესტრული გამოცდის მინიმალური ქულა). სასწავლო კომპონენტი ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტმა საბოლოო ჯამში დაიმსახურა 51ქულა.

საჭიროების შემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შემდეგ მინიმუმ 5 დღიანი შუალედით. დამატებით გამოცდაზე მაგისტრანტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ვერ მიიღო ქულების საჭირო რაოდენობა (მინიმუმ 51 ქულა), მაგრამ ჯამში დაგროვილი აქვს 41-დან 50ქულამდე.

თითოეულ სემესტრში თითოეული საგნის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შუალედური შეფასება შედგება 2 კომპონენტისაგან: მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 ქულა, შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა -15, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კი - 20.

პირველი სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს.

მეორე სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს.

მესამე სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს. აქედან 20 კრედიტი ეთმობა სასწავლო კურსებს, მათ შორის 10 კრედიტი ეთმობა საველე პრაქტიკას. ამავე სემესტრში გაივლიან ერთ 10 კრედიტიან კვლევით კომპონენტს: თეორიულ/ ექსპერიმენტულ კვლევა/ კოლოკვიუმს.

მეოთხე სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, დასრულებას და დაცვას (30 კრედიტი).

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ გვერდზე http://gtu.ge/Orders, სადაც სტუდენტებისათვის არის დეტალური ინფორმაცია სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვრისა და ვადების შესახებ.

კვლევითი კომპონენტების ელემენტები.

თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოკვიუმზე მაგისტრანტი იწყებს მუშაობას სწავლების მეორე წლიდან, რომელიც მესამე სემესტრში გულისხმობს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული ნაშრომის წარდგენასა და პრეზენტაციას, სემესტრის მიმდინარეობისას მაგისტრანტმა თავის ხელმძღვანელს ეტაპობრივად უნდა წარმოუდგინოს კონკრეტული კვლევის საკითხის მოცულობა და სიღრმე, ასევე მიღწეული შედეგები. ძირითადი მიზანი თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოკვიუმისა არის ცოდნის სისტემატიზაცია, ნაშრომის შედეგის წარდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისება და საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, რომელიც წამოიქმნება მუშაობის პროცესში.

თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოკვიუმის შეფასება ხდება დასკვნით გამოცდაზე (მაქსიმალური 100 ქულა). თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 კვირისა), რის შემდეგაც ფაკულტეტის დეკანი ქმნის 5-9 წევრისაგან შემდგარ კომისიას. კომისიის თითოეული წევრი აფასებს პრეზენტაციას ხუთი კომპონენტით.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, მისი საჯარო დაცვა და დასკვნითი შეფასება დგინდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება დადგენილებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მიიღება დასკვნითი გამოცდის შეფასებით (მაქსიმალური 100 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს საგამოცდო კომისიის 5-6 წევრი 100 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმებისმიხედვით:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ:
http://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxeb_debuleba_2019.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია.
http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია არქეოლოგიის მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა, სისტემური ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ისტორიის, საველე-საძიებო ტექნიკა- ტექნოლოგიების და არქეოლოგიური არტეფაქტების კონსერვაციის და ტექნიკური ექსპერტიზის სფეროში.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

იცნობს

სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლის გათხრის, არქეოლოგიური არტეფაქტების თეორიული და სტილური ანალიზის, კონსერვაციის, მეტალოგენური ქანების - არქეოლოგიურ-მინერალოგიური სტრუქტურის და არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ლითონის ნაკეთობათა ინტერდისციპლინური კვლევის ხერხებს და მეთოდებს, სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორიული ექსპერიმენტის უახლეს სქემას, მეცნიერული, მიზნობრივი ტექსტის სტრუქტურას და ფორმატირების პრინციპებს.

განმარტავს

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავების და ექსპერიმენტის შედეგებს, არქეოლოგიური კულტურების ისტორიულ კონტექსტს, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის და უსაფრთხოების, მატერიალური კულტურის ძეგლის ექსპერტიზის პრინციპების თეორიული და პრაქტიკული და არქეოლოგიური მონაპოვრის კომპლექსური კვლევის ტექნიკა-ტექნოლოგიის სქემის რეალიზაციის, ასევე - პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე კერამიკული მასალის ქრონოლოგიური არეალის განსაზღვრის მექანიზმებს.

იყენებს

სპეციალურ ცოდნას ძველი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, არქეოლოგიური გათხრების დამოუკიდებლად წარმოებისა და არქეოლოგიური კულტურული ფენების ფიქსაციისათვის, გეომორფოლოგიური კვლევითი მიდგომების არქეოლოგიური ძიების პრობლემის გადასაწყვეტად ადაპტირებისათვის, მიზნობრივი აკადემიური ტექსტის დამოუკიდებლად მომზადებისათვის.

ადგენს

ძეგლის დაზიანების წყაროს და მასშტაბს (და მის აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გეგმას), არქეოლოგიური ძეგლის წარმომავლობასა და იდენტიფიკაციის პარამეტრებს, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული არტეფაქტების კულტურულ ლოკალიზაციას.

ოპერირებს

თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით ორგანული და არაორგანული მასალების ლაბორატორიული რესტავრაციის, სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა და ბუნებრივი და ხელოვნური მინერალების და მათი ნაკეთობების ტექნიკური ექსპერტიზის თუ ექსპონატების სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში, არტეფაქტის ტექნიკური და კომპლექსურ-ლაბორატირიული კვლევის ექსპერიმენტში, სანახელავო ქვების დიაგნოსტიკაში.

ასაბუთებს

არქეოლოგიურ ძეგლზე არსებული ინფორმაციის მართებულობას, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ დასკვნას, არტეფაქტის ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებას, სიძველეთა კონსერვაციის სქემის კორექტირების საჭიროებას, ახალაღმოჩენილი მასალის მახასიათებლებზე დაყრდნობით ადეკვატურ დასკვნას, აუდიტორიის წინაშე არქეოლოგიური კვლევების წარმართვის პოტენციალის სრული ანალიზის მონაცემებს.

იზიარებს

პროფესიულ სფეროში დამკვიდრებულ და მოწინავე საზოგადოებების მიერ აღიარებულ ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) ფორმები და მეთოდები

☒ლექცია ☒სემინარი (ჯგუფშიმუშაობა) ☒პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული ☒პრაქტიკა

☒საკურსო სამუშაო/პროექტი ☒სამაგისტრო ნაშრომი ☒კონსულტაცია ☒დამოუკიდებელი

მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებსწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახესატარებდეს.

6. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

7. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

8. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

9. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება დასხვ.

10. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

11. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

12. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება

მოცემული თემისფარგლებში.
13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკულიინტერპრეტაცია.
14. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება , თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად , კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას. სწავლების კონკრეტული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითიშეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

დასაქმების სფერო

- არქეოლოგიური კვლევის პროექტები (ექსპედიციები);
- მუზეუმები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ექსპერტიზაზე სპეციალიზებული დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის სამთავრობო სტრუქტურები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 21

პროგრამის საგნობრივიდატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	საქართველოს ძველი ისტორიის წყაროები	არ აქვს	**5**			
2	ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნოსები და კავკასია	არ აქვს	**5**			
3	მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია	არ აქვს	**5**			
4	არქეოლოგიური არტეფაქტები	არ აქვს	**5**			
5	გეომორფოლოგია	არ აქვს	**5**			
6	**უცხოური ენა არჩევითი (ერთ-ერთი ენა)**					
6.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	არ აქვს	**5**			
6.2	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)					
6.3	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)					
6.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)					
7	**უცხოური ენა არჩევითი (ერთ-ერთი ენა)**					
7.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	ბიზნესკომუნი-კაცია		**5**		
7.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)					
7.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)					
7.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
8	პეტროგრაფია, ლითოლოგია	არ აქვს		**5**		
9	ხელოვნების სტილთა ისტორია და თეორია	არქეოლოგიუ-რი არტეფაქტები		**5**		
10	კულტურათა ინტერაქცია	ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნოსები და კავკასია		**5**		
11	სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა	მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია		**5**		
12	აკადემიური წერა	არ აქვს		**5**		
13	თბილისის არქეოლოგია	საქართველოს			**5**	

		ძველი ისტორიის წყაროები				
14	გამოყენებითი მინერალოგია	არ აქვს			**5**	
15	საველე პრაქტიკა	გეომორფოლო-გია			**10**	
		სემესტრში	**30**	**30**	**20**	
		სულ:	**80**			
კვლევითი კომპონენტი:						
1	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	არ აქვს			**10**	
2	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები				**30**
		სულ სემესტრში:	**30**	**30**	**30**	**30**
		სულ წელიწადში:	**60**		**60**	
		სულ:	**120**			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	HEL23912 G1-LS	საქართველოს ძველი ისტორიის წყაროები	5/125	15	30					1	1	78
2	HEL24012 G1-LS	ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნოსები და კავკასია	5/125	15	30					1	1	78
3	HEL24312 G1-LB	მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია	5/125	15			30			1	1	78
4	HEL24212 G1-LS	არქეოლოგიური არტეფაქტები	5/125	15	30					1	1	78
5	PHS30903 G1-LP	გეომორფოლოგია	5/125	15		30				1	1	78
6.1	LEH12412 G1-P	ბიზნესკომუნიკაცია(ინგლისური ენა)	5/125			45				2	2	76
6.2	LEH12212 G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	5/125			45				2	2	76
6.3	LEH12612	ბიზნესკომუნიკაცია	5/125			45				2	2	76

	G1-P	(გერმანულიენა)										
6.4	LEH12812 G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	5/125			45				2	2	76
7.1	LEH12512 G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
7.2	LEH12312 G1-LP	დარგობრივი ტექსტისთარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
7.3	LEH12712 G1-LP	დარგობრივი ტექსტისთარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30				2	2	76
7.4	LEH12912 G1-LP	დარგობრივი ტექსტისთარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
8	PHS37003 G1-LP	პეტროგრაფია, ლითოლოგია	5/125	15		30				1	1	78
9	ART31112 G1-LS	ხელოვნების სტილთა ისტორია და თეორია	5/125	15		30				2	1	77
10	HEL24112 G1-LS	კულტურათა ინტერაქცია	5/125	15	30					1	1	78
11	HEL24512 G1-LB	სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა	5/125	15			30			1	1	78
12	LEH10712 G2-LS	აკადემიური წერა	5/125	15	30					2	2	76
13	HEL24412 G1-LS	თბილისის არქეოლოგია	5/125	15	30					1	1	78
14	PHS36603 G1-LB	გამოყენებითი მინერალოგია	5/125	15			30			1	2	77
15	HEL24612 G1-R	საველე პრაქტიკა	10/250					120			2	123

პროგრამის ხელმძღვანელი — გივი ინანიშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურის უფროსი — ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათაფაკულტეტისდეკანი — ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12 დეკემბერი 2013 წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურთან — ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
2019 წელი 29ივლისი
ოქმი № 40

ფაკულტეტისსაბჭოსთავმჯდომარე — ივანე ჯაგოდნიშვილი

პროგრამისსწავლისშედეგი[1] დანართი 1

სასწავლო კურსები	**იცნობს**	**განმარტავს**	**იყენებს**	**ადგენს**	**ოპერირებს**	**ასაბუთებს**	**იზიარებს**
	სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლის გათხრის, არქეოლოგიური არტეფაქტების თეორიული და სტილური ანალიზის, კონსერვაციის, მეტალოგენური ქანების - არქეოლო-გიურ-მინერალოგი-ური სტრუქტურის და არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ლითონის ნაკეთობათა ინტერდისციპლინუ რი კვლევის ხერხებს და მეთოდებს, სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორიული ექსპერიმენტის უახლეს სქემას, მეცნიერული, მიზნობრივი ტექსტის სტრუქტურას და ფორმატირების პრინციპებს.	მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავების და ექსპერიმენტის შედეგებს, არქეოლოგიური კულტურების ისტორიულ კონტექსტს, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის და უსაფრთხოების, მატერიალური კულტურის ძეგლის ექსპერტიზის პრინციპების თეორიული და პრაქტიკული და არქეოლოგიური მონაპოვრის კომპლექსური კვლევის ტექნიკა-ტექნოლოგიის სქემის რეალიზაციის, ასევე - პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე კერამიკული მასალის ქრონოლოგიური არეალის განსაზღვრის მექანიზმებს.	სპეციალურ ცოდნას ძველი ისტორიის რეკონსტრუქციის ათვის, არქეოლოგიური გათხრების დამოუკიდებლად წარმოებისა და არქეოლოგიური კულტურული ფენების ფიქსაციისათვის, გეომორფოლოგი ური კვლევითი მიდგომების არქეოლოგიური ძიების პრობლემის გადასაწყვეტად ადაპტირებისათვ ის, მიზნობრივი აკადემიური ტექსტის დამოუკიდებლად მომზადებისა-თვის.	ძეგლის დაზიანების წყაროს და მასშტაბს (და მის აღმოსაფხვრე ლ ღონისძიებათ ა გეგმას), არქეოლოგიუ რი ძეგლის წარმომავლო ბასა და იდენტიფიკა ციის პარამეტრებს, არქეოლოგი-ურ-ეთნოგრაფიუ ლი არტეფაქტებ-ის კულტურულ ლოკალიზა-ციას.	თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით ორგანული და არაორგანული მასალების ლაბორატორიული რესტავრაციის, სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა და ბუნებრივი და ხელოვნური მინერალების და მათი ნაკეთობების ტექნიკური ექსპერტიზის თუ ექსპონატების სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში, არტეფაქტის ტექნიკური და კომპლექსურ-ლაბორატირიული კვლევის ექსპერიმენტში, სანახელავო ქვების დიაგნოსტიკაში.	არქეოლოგიურ ძეგლზე არსებული ინფორმაციის მართებულობას, ხელოვნებათმცოდნე ობითი ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ დასკვნას, არტეფაქტის ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებას, სიძველეთა კონსერვაციის სქემის კორექტირების საჭიროებას, ახალაღმოჩენილი მასალის მახასიათებლებზე დაყრდნობით ადეკვატურ დასკვნას, აუდიტორიის წინაშე არქეოლოგიური კვლევების წარმართვის პოტენციალის სრული ანალიზის მონაცემებს.	პროფესი ულ სფეროში დამკვიდ რებულ და მოწინავე საზოგად ოებების მიერ აღიარებ ულ ნორმებს.

[1] პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - *1*; გაღრმავება -*2*; განმტკიცება - *3*.

	სასწავლო კომპონენტები							
1.	საქართველოს ძველი ისტორიის წყაროები		1	1			1	
2.	ძველი ახლო აღმოსავლეთის ეთნოსები და კავკასია		1	1			1	
3.	მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია	1	1		1	1	1	1
4.	არქეოლოგიური არტეფაქტები	1			1		1	
5.	გეომორფოლოგია	1		1		1		
6.	პეტროგრაფია, ლითოლოგია	2		2		2		
7.	ხელოვნების სტილთა ისტორია და თეორია	2			2		2	2
8.	კულტურათა ინტერაქცია		2	2			2	2
9.	სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა	2	2			2		
10.	აკადემიური წერა	1		1				
11.	თბილისის არქეოლოგია		2	2			2	
12.	გამოყენებითი მინერალოგია	2		2		2		
13.	საველე პრაქტიკა	3		3			3	
14.	**კვლევითი კომპონენტი**	3	3	3	3	3	3	3

პროგრამის მიზნებისა და სწავლისშედეგებისრუკა[2] **დანართი2**

პროგრამის მიზნები	**იცნობს**	**განმარტავს**	**იყენებს**	**ადგენს**	**ოპერირებს**	**ასაბუთებს**	**იზია-რებს**
	სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლის გათხრის, არქეოლოგიური არტეფაქტების თეორიული და სტილური ანალიზის, კონსერვაციის, მეტალოგენური ქანების - არქეოლოგიურ-მინერალოგიური სტრუქტურის და არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ლითონის ნაკეთობათა ინტერდისციპლინური კვლევის ხერხებს და მეთოდებს, სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორიული ექსპერიმენტის უახლეს სქემას, მეცნიერული, მიზნობრივი ტექსტის სტრუქტურას და ფორმატირების პრინციპებს.	მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავების და ექსპერიმენტის შედეგებს, არქეოლოგიური კულტურების ისტორიულ კონტექსტს, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის და უსაფრთხოების, მატერიალური კულტურის ძეგლის ექსპერტიზის პრინციპების თეორიული და პრაქტიკული და არქეოლოგიური მონაპოვრის კომპლექსური კვლევის ტექნიკა-ტექნოლოგიის სქემის რეალიზაციის, ასევე - პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე კერამიკული მასალის ქრონოლოგიური არეალის განსაზღვრის მექანიზმებს.	სპეციალურ ცოდნას ძველი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, არქეოლოგიური გათხრების დამოუკიდებლად წარმოებისა და არქეოლოგიური კულტურული ფენების ფიქსაციისა-თვის, გეომორფოლოგიური კვლევითი მიდგომების არქეოლოგიური ძიების პრობლემის გადასაწყვეტად ადაპტირებისათვის, მიზნობ-რივი აკადემი-ური ტექსტის დამოუკიდებ-ლად მომზადე-ბისათვის.	ძეგლის დაზიანების წყაროს და მასშტაბს (და მის აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გეგმას), არქეოლოგიური ძეგლის წარმომავლობასა და იდენტიფიკაციის პარამეტრებს, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული არტეფაქტების კულტურულ ლოკალიზაციას.	თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით ორგანული და არაორგანული მასალების ლაბორატორიული რესტავრაციის, სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა და ბუნებრივი და ხელოვნური მინერალების და მათი ნაკეთობების ტექნიკური ექსპერტიზის თუ ექსპონატების სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში, არტეფაქტის ტექნიკური და კომპლექსურ-ლაბორატირიული კვლევის ექსპერიმენტში, სანახელავო ქვების დიაგნოსტიკაში.	არქეოლოგიურ ძეგლზე არსებული ინფორმაციის მართებულობას, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ფორმულირებულ დასკვნას, არტეფაქტის ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებას, სიძველეთა კონსერვაციის სქემის კორექტირების საჭიროებას, ახალაღმოჩენილი მასალის მახასიათებლებზე დაყრდნობით ადეკვატურ დასკვნას, აუდიტორიის წინაშე არქეოლოგიური კვლევების წარმართვის პოტენციალის სრული ანალიზის მონაცემებს.	პროფესიულ სფეროში დამკვიდრებულ და მოწინავე საზოგა-დოებებ-ის მიერ აღიარე-ბულ ნორმებს.

[2] პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

არქეოლოგიის მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა, სისტემური ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ისტორიის სფეროში	√	√	√	√		√	
არქეოლოგიის მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა, სისტემური ცოდნა არქეოლოგიური საველე-საძიებო ტექნიკა-ტექნოლოგიების სფეროში	√		√			√	√
არქეოლოგიის მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა, სისტემური ცოდნა არქეოლოგიური არტეფაქტების კონსერვაციის და ტექნიკური ექსპერტიზის სფეროში.	√	√			√	√	√